გიორგი ჩიტაია და 1924 წლის აჯანყება: მოსალოდნელი შედეგების შეფასება

ნაილა ჩელებაძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: naila.chelebadze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0003-2451-1753

აბსტრაქტი: გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია (1890–1986), ქართული ეთნოლოგიის სამეცნიერო სკოლისა და საქართველოში საველე ეთნოგრაფიული კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის ფუძემდებელი, ახალგაზრდობიდანვე აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ-პოლიტიკურ საქმიანობაში. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში იგი ნიკო ნიკოლაძის რეკომენდაციით ფოთის ქალაქის თავად დაინიშნა, ხოლო 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ დღეებში, მონაწილეობდა ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

წინამდებარე სტატია ეფუძნება გიორგი ჩიტაიას ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს, მემუარულ მემკვიდრეობასა და საარქივო მასალებს და მიზნად ისახავს მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ნაკლებად ცნობილი ეპიზოდების წარმოჩენას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩიტაიამ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას თავი დაანება და მთლიანად სამეცნიერო კვლევას მიუძღვნა, თუმცა მისი ჩანაწერები ცხადყოფს, რომ იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, აანალიზებდა მოვლენებსა და მათ მონაწილე პირებს.

კვლევა აჩვენებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება გიორგი ჩიტაიას კვლავ ეროვნული მოძრაობის გავლენიან წარმომადგენლად მიიჩნევდა, რასაც მოწმობს მისი არაერთგზის დაპატიმრება და 1924 წლის ეროვნული აჯანყების კონტექსტში მისდამი გამოვლენილი განსაკუთრებული ინტერესი. მემუარული წყაროების მიხედვით, მას შესთავაზეს აჯანყების აფხაზეთის მიმართულების ხელმძღვანელობა, თუმცა, ძალთა რეალური თანაფარდობის შეფასებიდან გამომდინარე, ამ პასუხისმგებლობაზე მან უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, იგი რეპრესიების მსხვერპლი გახდა და სიკვდილით დასჯის საფრთხეც გადაიტანა.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ გიორგი ჩიტაიას პოლიტიკური ბიოგრაფია მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი, თუმცა დღემდე ნაკლებად შესწავლილი მხარეა. წარმოდგენილი მასალები წარმოაჩენს არა მხოლოდ გამოჩენილ ეთნოლოგსა და მეცნიერების ორგანიზატორს, არამედ ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეის ერთგულ საზოგადო მოღვაწეს, რომლის შემდგომი სამეცნიერო საქმიანობა მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო მის მიერ გადატანილი პოლიტიკური გამოცდილებით.

საკვანძო სიტყვები: პირველი რესპუბლიკა, ფედერალისტური პარტია, დამკომი, ოზაკომი, პარიტეტული კომიტეტი, 1924 წლის აჯანყება, პოლიტიკური რეპრესიები.

***

შესავალი. გიორგი ჩიტაიას პოლიტიკური შეხედულებები 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე სპეციალური კვლევის საგნად არ ქცეულა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბიოგრაფიისა და სამეცნიერო მემკვიდრეობის ცალკეული ასპექტები არაერთ ნაშრომშია განხილული, ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებსა და მემუარულ მასალებში დაცული პოლიტიკური შეფასებების სისტემური ანალიზი დღემდე არ განხორციელებულა. წინამდებარე სტატიის მიზანია აღნიშნული საკითხის შესწავლა და გიორგი ჩიტაიას პოლიტიკური პოზიციების წარმოჩენა 1924 წლის ეროვნულ-პოლიტიკურ მოვლენებთან მიმართებით.

1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, საერთაშორისო მხარდაჭერის იმედის შესუსტების ფონზე, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა 1922 წლის გენუის კონფერენციის შედეგებით, საქართველოში გააქტიურდა ეროვნული ძალების წინააღმდეგობის მოძრაობა. შეიქმნა არალეგალური პოლიტიკური გაერთიანებები, რომელთა მიზანი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო.

მსჯელობა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საკითხის შესწავლა საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვანი იდეოლოგიური და პოლიტიკური შეზღუდვების პირობებში მიმდინარეობდა. საბჭოთა ისტორიოგრაფია საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდისა და ანტისაბჭოთა მოძრაობის შეფასებას ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული იდეოლოგიური ჩარჩოებით ახორციელებდა, რის გამოც ეროვნული წინააღმდეგობის ისტორიის მრავალი ასპექტი სრულყოფილად ვერ აისახა სამეცნიერო ლიტერატურაში.

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ეროვნული მოძრაობის გააქტიურებისა და ისტორიული მეხსიერების აღდგენის პროცესის პარალელურად, გაიზარდა ინტერესი საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემებისადმი. 1991 წლის შემდეგ ქართულმა ისტორიოგრაფიამ აქტიურად დაიწყო საბჭოთა პერიოდში ნაკლებად შესწავლილი საკითხების კვლევა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 1924 წლის აჯანყებას, რომლის პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური ასპექტები არაერთ ნაშრომში იქნა განხილული (მაზნიაშვილი, 2014; სულაძე, 2010; ნოზაძე,1989; შარაძე, 1991,1993; ხოსიტაშვილი, 2024; ჯიქია, 2012).

აღნიშნულ ისტორიოგრაფიულ პროცესამდე გიორგი ჩიტაიას პოლიტიკური ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები ფართო სამეცნიერო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი იყო. მათ შორის, სათანადოდ შესწავლილი არ ყოფილა მისი მონაწილეობა ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ფედერალისტურ მოძრაობასთან მისი კავშირი და 1924 წლის მოვლენებისადმი მისი დამოკიდებულება.

გიორგი ჩიტაიას თანამოაზრე სტუდენტთა მოგონებებიდან ირკვევა, რომ იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაკავშირებული იყო ფედერალისტურ პარტიასთან. იმ ეპოქის ქართველი ინტელიგენციის ნაწილისათვის (შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე, აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი, ვ. კოტეტიშვილი და სხვ.) ამ პოლიტიკური მიმართულების მხარდაჭერა ბუნებრივი არჩევანი იყო. ფედერალისტური მოძრაობის წარმომადგენლები იზიარებდნენ ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეებს და ცდილობდნენ, შეცვლილი ისტორიული ვითარების პირობებში, მათი განხორციელებისათვის ახალი პოლიტიკური გზები მოეძებნათ. შესაბამისად, მათი პოლიტიკური პოზიცია არ წარმოადგენდა ილიას ეროვნული პროგრამის უარყოფას; პირიქით, იგი განიხილებოდა ამ პროგრამის გაგრძელებისა და ახალი რეალობის შესაბამისად განვითარების განსხვავებულ მცდელობად.

გიორგი ჩიტაიას ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მემუარული მასალები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს XX საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შესწავლისათვის. მათში დაცულია ცნობები ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლის

ცალკეული ეპიზოდების, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან ურთიერთობისა და იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების შესახებ (ჩელებაძე, 2025, გვ. 185-200).

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გიორგი ჩიტაიამ აქტიური პოლიტიკური საქმიანობა შეწყვიტა და მთლიანად სამეცნიერო მოღვაწეობაზე გადავიდა. თუმცა მისი ავტობიოგრაფიული ჩანაწერები ცხადყოფს, რომ იგი კვლავ ყურადღებით აკვირდებოდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ინიშნავდა მნიშვნელოვან მოვლენებს და აფასებდა მათ პოლიტიკურ მნიშვნელობას. მისი ეროვნული პოზიციები და წარსული პოლიტიკური კავშირები საბჭოთა ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო, რასაც ადასტურებს მისი ორჯერ დაპატიმრების ფაქტიც. მიუხედავად ამისა, ბრალდებების დაუმტკიცებლობისა და მისი სამეცნიერო ავტორიტეტის გამო, იგი გათავისუფლდა.

გიორგი ჩიტაიას მიმართ არსებული ნდობა ეროვნულ-პატრიოტულ წრეებში განსაკუთრებით გამოვლინდა 1924 წლის აჯანყების წინა პერიოდში, როდესაც მას აფხაზეთის ფრონტის ხელმძღვანელობა შესთავაზეს. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ იგი იმ დროის ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების მიერ განიხილებოდა არა მხოლოდ როგორც გამოჩენილი მეცნიერი, არამედ როგორც პოლიტიკური გამოცდილებისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების მქონე პიროვნება.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი გიორგი ჩიტაია ახალგაზრდობიდანვე იყო ჩართული ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იგი გარკვეული დროის განმავლობაში ფოთის ქალაქის თავი (მერი) იყო, რაც ნიკო ნიკოლაძის რეკომენდაციით მის მიმართ გამოხატული მაღალი ნდობის მაჩვენებელი გახლდათ.

ამდენად, გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ანალიზიც. მისი მონაწილეობა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ პროცესებში, ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საკითხებში და 1924 წლის აჯანყებისადმი დამოკიდებულება წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვან, თუმცა ჯერ კიდევ არასაკმარისად შესწავლილ პრობლემას.

გიორგი ჩიტაიას სიცოცხლის პერიოდში მისი ბიოგრაფიის ოფიციალური ვერსიიდან ფაქტობრივად ამოღებული იყო 1918–1924 წლების პერიოდი. სწორედ ეს წლები იყო ის ისტორიული მონაკვეთი, რომელსაც მეცნიერი სიცოცხლის ბოლო ეტაპზე განსაკუთრებული ემოციური დატვირთვით აფასებდა. მისი მოგონებებიდან იკვეთება, რომ 1918 წლის 26 მაისი მისთვის საქართველოს ისტორიის ყველაზე ნათელი დღე იყო, რასაც შემდგომ მოჰყვა იმედგაცრუება, ეროვნული ტრაგედიის განცდა და სულიერი სიცარიელის განცდა.

საბჭოთა იდეოლოგიურ გარემოში საკუთარი პოლიტიკური წარსულის სრულად წარმოჩენა გიორგი ჩიტაიასთვის რთული იყო. ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მისი პირადი თავმდაბლობით, არამედ იმ სიფრთხილითაც, რომელსაც იგი იჩენდა თანამოაზრეებისა და ახლობელი ადამიანების მიმართ. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის, ისევე როგორც წინამორბედი და შემდგომი წლების მნიშვნელოვანი მოვლენები, პოლიტიკური პროცესები და ცალკეულ პიროვნებათა შესახებ მოგონებები აისახა მის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში.

გიორგი ჩიტაიას ავტობიოგრაფიული ნაშრომის გამოცემა შესაძლებელი გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. 1991 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა მისი მოგონებები სახელწოდებით „ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე“. ამ გამოცემის მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გიორგი ჩიტაიას მოწაფეს, ეთნოლოგს, პროფესორ თამილა ცაგარეიშვილს, რომლის ღვაწლსაც მეცნიერი მადლიერებით აღნიშნავს: „და, ბოლოს, მადლობა უნდა ვუთხრა ღმერთს, რომ მომივლინა თქვენნაირი ადამიანი“ (ჩიტაია, 2001, გვ. 426).

1924 წლის აგვისტოს აჯანყებასთან დაკავშირებული ცნობები ძირითადად შეესაბამება ჩიტაიას მემუარულ ჩანაწერებში წარმოდგენილ შეფასებებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა პერიოდში შექმნილი ჩანაწერები ვერ ასახავდა სრულად მის ყველა შეხედულებასა და ინფორმაციას, რადგან ავტორი იძულებული იყო გარკვეული სიფრთხილე დაეცვა.

გიორგი ჩიტაიას შეფასებები ცხადყოფს, რომ იგი 1924 წლის აჯანყების პერსპექტივას სამხედრო-პოლიტიკური რეალიზმის პოზიციიდან აფასებდა. მისი უარი აფხაზეთის მიმართულებით აჯანყების ხელმძღვანელობაზე არ იყო პოლიტიკური პასიურობის გამოხატულება; იგი ეფუძნებოდა არსებულ ძალთა თანაფარდობის ანალიზს და რწმენას, რომ შეიარაღებული გამოსვლა მძიმე დანაკარგებს გამოიწვევდა. შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ მისი პროგნოზი საფუძველს მოკლებული არ ყოფილა.

გიორგი ჩიტაიას გააჩნდა ინფორმაცია, რომ შეიარაღებული გამოსვლა მზადდებოდა. როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის ყოფილი პოლიტიკური მოღვაწე, იგი საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. თავდაპირველად იგი დააპატიმრეს, თუმცა მოგვიანებით გაათავისუფლეს; მიუხედავად ამისა, კვლავ მოექცა რეპრესიული ორგანოების ყურადღების ცენტრში. მისი მოგონებებიდან ირკვევა, რომ იგი 1924 წლის აჯანყების წარმატების პერსპექტივას სკეპტიკურად აფასებდა და მიაჩნდა, რომ არსებული პოლიტიკური და სამხედრო ვითარება ფართომასშტაბიანი შეიარაღებული გამოსვლისთვის ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული.

1924 წლის დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლებამ გააძლიერა ბრძოლა ანტისაბჭოთა ძალების წინააღმდეგ. ამ პერიოდში დააპატიმრეს 38 აქტიური მენშევიკი, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა აჯანყების მომზადებაში მონაწილე პოლიტიკური წრეები (ენდელაძე, 2004, გვ. 17-18). საქართველოს საგანგებო კომისიისთვის ცნობილი იყო, რომ პარიტეტული კომიტეტი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას ამზადებდა. 1924 წლის მაისში მიღებული ცნობების მიხედვით, იგეგმებოდა გამოსვლა 26 მაისისთვის.

მართალია, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გიორგი ჩიტაია აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორდა და ფოთი დატოვა, მაგრამ მისი წარსული პოლიტიკური კავშირები და საზოგადოებრივი ავტორიტეტი საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან კონტროლს განაპირობებდა.

1924 წლის აგვისტოს მოვლენების დროს გიორგი ჩიტაია მესხეთში, კერძოდ ზარზმაში, იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებით. არქიტექტორ შავიშვილთან ერთად მუშაობისას მან შეიტყო აჯანყების დაწყების შესახებ, ასევე სურამის უღელტეხილის ჩაკეტვისა და ბათუმთან დაკავშირებული გზების შეზღუდვის შესახებ (ჩიტაია, 1991, გვ. 54; ჩიტაია, 2001, გვ. 204). ამის შემდეგ იგი დააპატიმრეს. „სამეულის“ გადაწყვეტილებით მას დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, თუმცა სასჯელი საბოლოოდ არ აღსრულდა. თავად მეცნიერი ამ ფაქტს „განგების მიერ სიცოცხლის მეორედ ჩუქებად“ მიიჩნევდა. მისი გადარჩენა ნაწილობრივ განაპირობა მისმა სამეცნიერო და საზოგადოებრივმა ავტორიტეტმა – ახალციხის რაიკომის მდივანს, გაბუნიას, იგი ფოთიდან ახსოვდა (ჩიტაია, 1991, გვ. 55; ჩიტაია, 2001, გვ. 214).

გიორგი ჩიტაიას მემუარებში დაცული ცნობები ნათლად აჩვენებს, რომ იგი საქმის კურსში იყო 1924 წლის აჯანყების მომზადების პროცესში. როგორც თავად აღნიშნავს:

„მენიშნა – შეტყობილი მქონდა ოპოზიციური პარტიები აჯანყებას ამზადებდნენ, სათანადოდაც ემზადებოდნენ, მაგრამ რიცხვი, თუ როდის უნდა დაეწყოთ აჯანყება, არ ვიცოდი. ის კი არა, პარიტეტულმა კომიტეტმა შემომთავაზა აფხაზეთში მეხელმძღვანელა აჯანყებისათვის, მაგრამ მე კატეგორიულად ვიუარე გარკვეული მიზეზით: ეს იქნება ავანტიურა, ხალხი გაიჟლიტება და პარიტეტული კომიტეტი კი გადარჩება-მეთქი“ (ჩიტაია, 1991, გვ. 55).

აღნიშნული შეფასება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გიორგი ჩიტაიას პირადი პოლიტიკური პოზიციის გასაგებად, არამედ 1924 წლის აჯანყების ისტორიული შეფასების თვალსაზრისითაც. მისი დამოკიდებულება ახლოს იდგა ნიკო ნიკოლაძის პოზიციასთან, რომელიც ასევე ეწინააღმდეგებოდა მოუმზადებელ შეიარაღებულ გამოსვლას და დამკომს თავშეკავებისკენ მოუწოდებდა. აჯანყების შედეგებმა, რასაც მოჰყვა მსხვერპლი და პოლიტიკური ორგანიზატორების დაპატიმრება-

დასჯა, ნაწილობრივ დაადასტურა იმ პირთა შეხედულებები, რომლებიც გამოსვლის მიზანშეწონილობასა და შესაძლებლობებს სკეპტიკურად აფასებდნენ.

აშკარაა, რომ გიორგი ჩიტაიას გააჩნდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოცდილება და მოვლენათა შეფასების უნარი. იგი ხედავდა 1924 წლის აჯანყების ორგანიზაციულ სისუსტეებს, აფასებდა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, ჰქონდა კავშირები ემიგრანტულ ინტელიგენციასთან და ფლობდა ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ. სწორედ ამ ფაქტორებმა მისცა შესაძლებლობა, რეალისტურად განესაზღვრა შეიარაღებული გამოსვლის შესაძლო შედეგები.

1924 წლის მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გიორგი ჩიტაიას შემდგომი ცხოვრების გზაზე. ამის შემდეგ მან საბოლოოდ ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას და საკუთარი ძალისხმევა მთლიანად მეცნიერებას, ქართული კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის კვლევას მიუძღვნა. ამგვარად, პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება მისთვის ეროვნული სამსახურის სხვა – სამეცნიერო – ფორმით გაგრძელებად იქცა.

გიორგი ჩიტაიას პოლიტიკური ბიოგრაფია დღემდე არასაკმარისად არის შესწავლილი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მასშტაბის მიღმა იკვეთება პიროვნება, რომელიც ახალგაზრდობის წლებში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვაში, ხოლო საბჭოთა პერიოდში განიცადა პოლიტიკური ზეწოლის შედეგები. ამ გამოცდილებამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მის მსოფლმხედველობასა და შემდგომ სამეცნიერო საქმიანობაზე.

დასკვნა. ამრიგად, XX საუკუნის პირველი მეოთხედის მოვლენების აღწერის სიზუსტე და თანმიმდევრულობა გიორგი ჩიტაიას მემუარულ ჩანაწერებში მიუთითებს, რომ ავტორი სიცოცხლის ბოლო წლებში საფუძვლიანად გააზრებულ და ხანგრძლივი მეხსიერებით შენარჩუნებულ ისტორიულ გამოცდილებას გადმოსცემდა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა იდეოლოგიური გარემო არ იძლეოდა მსგავსი პოლიტიკური ბიოგრაფიის სრულად დოკუმენტირების შესაძლებლობას.

გიორგი ჩიტაიას ავტობიოგრაფიული ჩანაწერები მნიშვნელოვანი პირველწყაროა საქართველოს ეროვნული მოძრაობის, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და საბჭოთა ოკუპაციის შემდგომი პერიოდის შესწავლისათვის. აღნიშნული მასალები საშუალებას გვაძლევს, მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის პარალელურად, წარმოჩნდეს მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ის მხარეებიც, რომლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე სათანადოდ არ არის გამოკვლეული – მათ შორის, მონაწილეობა ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და მისი დამოკიდებულება 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა და სამეცნიერო წყაროები:

მაზნიაშვილი, გ. (2014). *მოგონებანი*. თბილისი.

ნოზაძე, ვ. (1989). *საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო*. თბილისი.

სულაძე, გ. (2010). *ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918–1953 წწ.)*. თბილისი.

შარაძე, გ. (1991–1993). *უცხოეთის ცის ქვეშ* (ტომი 1–2). თბილისი.

ჩელებაძე, ნ. (2024). გიორგი ჩიტაია ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და ბრძოლის შესახებ. წიგნში *შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე II* (ნაწილი II). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი. ბათუმი.

ჩიტაია, გ. (1991). *ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე*. მეცნიერება. თბილისი.

ჩიტაია, გ. (2001). *შრომები ხუთ ტომად* (ტომი 3). მეცნიერება. თბილისი.

ხოსიტაშვილი, მ. (2024). *ასი წელი აჯანყებიდან*. თბილისი.

ჯიქია, ლ. (2012). *1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში* [სადოქტორო დისერტაცია]. თბილისი.